ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 23 ნოემბერი, 2020 №243 (8507) ფასი: 60 თეთრი

ლევან ზურაბაშვილს ხელყუმბარა კი არა, სანთებელა ეჭირა

გვ.5

პროკურატურამ მას ბრალი წარუდგინა და ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაუნიშნა

„კობახიძის მსგავსი ცინიკოსი მე არ მინახავს“

გვ.3

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ 50.000 ხმა ჩაუდო ოპოზიციას“

„ივანიშვილი 1 მილიონს აძლევს ყველა ოპოზიციონერ დეპუტატს, ვინც პარლამენტში შევა“

გვ.2

გურამ ჩალაგაშვილი: „ხალხი რომ იხუვლებს, ეს ხელისუფლება ჩვენი დასაცავი გახდება“

„თუ ხელისუფლება კომპრომისზე წავა, რიგგარეშე არჩევნები შემოდგომაზე ჩატარდება“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ახალი პარლამენტი შეიკრიბება და ვნახავთ, „ქართულ ოცნებას“ რეალურად რა შეუძლია“

გიგა ბუკია: „ოპოზიციამ შეცდომები დაუშვა“

გვ.4

„ისევ გაიკრიფა შუა და ხალხი დარჩა „ან ბიძინა, ან მიშა-ს“ მკაფიო არჩევანის წინაშე“

„ოპოზიციის ერთიანობა ხელისუფლებას უხერხულობას უქმნის“

გვ.4

დავით ლორთქიფანიძე: „მოსახლეობას სააკაშვილზე საუბარი ყელში ამოუვიდა“

ISSN 1987-9385

2 უცხოელს წაართვეს 5.528 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 142.000 დოლარად გაყიდეს 2 პირი დააკავეს

2 გია ვოლსკი: „ოპოზიციას არც რიგგარეშე არჩევნები აინტერესებს“

5 „თამარ ბაჩალიაშვილის ორგანიზმში აღმოჩენილი ნამლები მას არც ერთ აფთიაქში არ უყიდია“

6 რატომ არ მიულოცა პუტინმა ბაიდენს გამარჯვება

„ივანიშვილი 1 მილიონს აძლევს ყველა ოპოზიციონერ დეპუტატს, ვინც პარლამენტში შევა“

გურამ ჩალაგაშვილი: „ხალხი რომ იხუვლებს, ეს ხელისუფლება ჩვენი დასაცავი გახდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, შაბათს მეორე ტური გაიმართა, ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე. ხელისუფლება კი გამარჯვებას ზეიმობს. ამაყობს, რომ 17-ვე მაჟორიტარული ოლქი მოიგეს.

– ამ ქვეყანაში ხელისუფლებას და მის წარმომადგენლებს სახე საერთოდ დაკარგული აქვს. შაბათს რაც ჩატარდა, ეს არ ყოფილა არანაირი არჩევნები. ეს იყო ჩვეულებრივად სპეცოპერაციის დასასრული. ძალიან დაბალი იყო აქტივობა, დაახლოებით იმის ნახევარი, რაც პირველ ტურში იყო.

– კობახიძე ამბობს, ნახევარმა მილიონმა ადამიანმა მოგვცა ხმა, ხოლო ოპოზიციას 50 ათასმაო.

– ეს 50 ათასი, ვერ გეტყვით, ვინ იყო, ალბათ მართლა ძალიან გულმხურვალე მხარდამჭერი, რომელიც მაინც მივიდა და თავისი აზრი დააფიქსირა. თუმცა ოპოზიციას გაცხადებული ჰქონდა, რომ არავინ ღებულობდა არჩევნებში მონაწილეობას. ნახევარი მილიონი მივიდოდა თუ 20 კაცი იმ 17 ოლქში, მაგას არ ჰქონდა მნიშვნელობა. ეს ე.წ. გამარჯვება მაინც მაგათი იქნებოდა.

როდესაც მთელი ოპოზიცია ვიყავით ჩართული, მაშინ გააყალბეს არჩევნები, წინ ედოთ სიები, რომელი პარტია რამდენ პროცენტს არ უნდა გასცდენოდა და იმის მიხედვით დადეს შედეგები. ხოლო ახლა, როდესაც მათ მეტი არავინ ყოფილა არჩევნებზე და არც კომისიებში, ხომ წარმოგიდგენიათ, რას იზამდნენ.

– ოპოზიციიდან შევა ვინმე პარლამენტში? არის მოწოდება დასავლეთიდან, რომ შევიდეს ოპოზიცია, ელჩებიც გულმოდგინეთ ცდილობენ, რომ რაღაც შეთანხმება შედგეს, გამოვა რამე აქედან?

– აბა, ელჩები სხვას რას იზამენ?! თუ ვინმეს ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ ელჩები გამოვიდოდნენ და იტყოდნენ, არ შეხვიდეთ პარლამენტში და გააგრძელეთ პროტესტიო, ძალიან შემცდარა. ეგ მათი მოვალეობაა, რომ მეტ-ნაკლებად მშვიდი და სტაბილური სიტუაცია შექმნან და სტაბილურ ქვეყანაში მოუწიოთ საქმიანობა.

ყველა თანხმდება იმაზე, „ქართული ოცნების“ გარდა, რომ ეს არჩევნები კანონმდებლობასთან მიახლოებითაც კი არ ჩატარებულა. მიუხედავად იმისა, რომ იყო უხეში დარღვევები, მაინც რასაც უნდათ, იმას აკეთებენ.

– კარლ ჰარცელი აცხადებს, რომ აუცილებელია მივაღწიოთ შეთანხმებას და საქართველოს ჰყავდეს პარლამენტი, სადაც მისი წევრები აიღებენ პასუხისმგებლობას, რომელიც მოქალაქეებმა დააკისრესო. ეს პირდაპირ მოწოდებაა, რომ პარლამენტში უნდა შეხვიდეთ. ასე არ არის?

– კი ბატონო, მაგრამ გააჩნია, ვინ როგორ წაიკითხავს მათ განცხადებებს. მე ნამდვილად არ მჯერა და არც ისე არ ვკითხულობ მათ განცხადებებს, რომ არიქა, კატეგორიული მოწოდებაა, რომ ყველანი უნდა შევიდეთ პარლამენტში.

პარლამენტში შესვლა ნიშნავს იმას, რომ ეს არჩევნები ჩატარებულად უნდა აღიაროს ოპოზიციამ, მაგრამ რაც არ ჩატარებულა, იმას ვერ აღიარებს.

– არის მოლოდინი, რომ შევლენ ოპოზიციის წევრები პარლამენტში.

– ადამიანები, რომლებიც არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც მართლა ამ ქვეყნის მომავალი და თავისი შვილების ბედი აწუხებთ, ამ პარლამენტში არ შევლენ.

გავრცელდა ინფორმაცია, პარლამენტში შესულ თითო ოპოზიციურ დეპუტატში ბიძინა ივანიშვილი თავიდან ერთ მილიონს იხდიდა და ახლა კიდევ გაზარდა საფასურიო. მათი გადასაწყვეტია, ვინც ივანიშვილის მილიონებს აიღებს. თუმცა ერთი უნდა ვიცოდეთ ყველამ, რომ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერასოდეს ვერ მოიყვანს. ერთი და ორი ოპოზიციონერი დეპუტატი რომც შევიდეს პარლამენტში, ამით მაინც ვერ მოხდება ვერც ამ პარლამენტის ლეგიტიმაცია და ვერც ის მოხდება, რომ ამის გამო ჩვენ დავსხდეთ სახლებში და 4 წელი ველოდოთ, ივანიშვილი როგორ დააქცევს ამ ქვეყანას. ჩვენ ამას არ დავუშვებთ!

– რადიკალური გზა აირჩია ოპოზიციამ და ქუჩის ოპოზიციად გადაიქცევიანო, ასეთი აზრიც არსებობს.

– რა ვუყოთ, მათ ფანტაზიებს საზღვარი არ აქვს. უამრავ სისულელეს ლაპარაკობენ და კობახიძე განსაკუთრებით. მის ნათქვამზე კომენტარის გაკეთება ძალიან რთულია.

ერთს დავამატებ, ჩვენს პარტნიორებზე როდესაც ვსაუბრობთ, ყველაზე კარგად გამოჩნდა მათი პოზიცია პომპეოს ვიზიტისას.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– როდესაც ჩამოვიდა ბატონი პომპეო, მას არავისთვის არ მიულოცია არჩევნების წარმატებით ჩატარება. როდესაც მსგავსი შეხვედრები და

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ოპოზიციისა და „ოცნების“ მოლაპარაკებაში ესტონეთის საგარეო

ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის მოლაპარაკებებში უკვე არა მხოლოდ საქართველოში აკრედიტებული ელჩები, არამედ მეგობარი ქვეყნის საგარეო მინისტრიც ერთვება.

გამოცემა „ბალტიკ თაიმსმა“ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე სატელეფონო საუბარი ქართველ კოლეგასთან, დავით ზალკალიანთან და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერთან, გრიგოლ ვაშაძესთან გამართა.

თბილისში კი პოლიტიკურ ოპონენტებს შორის შეთანხმებისთვის ევროკავშირისა და ამერიკის ელჩები სხვა დიპლომატებთან ერთად მუშაობენ. ოპოზიციის ლიდერების მოთხოვნა ხელახალ არჩევნებთან დაკავშირებით, უცვლელია, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ პოზიცია – ამომრჩევლის ნების რევიზია არ იგეგმება.

ამავე დროს, მმართველ გუნდში ამბობენ, რომ მზად არიან, მრავალპარტიული პარლამენტის მისაღებად გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ.

კონკრეტულად, რა სახის შეთანხმება შეიძლება შედგეს და რა დეტალები განიხილება ფასილიტატორებთან მოლაპარაკებისას, ამაზე საუბარი „ქართულ ოცნებაში“, ჯერჯერობით, არ სურთ.

არჩევნების ოფიციალური შედეგებისა და კანონმდებლობის მიხედვით, „ქართულ ოცნებას“ 90 მანდატი აქვს – აქედან 30 მაჟორიტარული, 60 პროპორციული. 90 მანდატი არის ზედა ზღვარი და საარჩევნო კანონის მიხედვით, ამაზე მეტი ადგილის მიღება არც ერთ პარტიას შეუძლია.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, მანდატები ასე გადანაწილდა:

36 დეპუტატი ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“;

„ევროპულ საქართველოს“ – 5;

„ლელომ“, „სტრატეგია აღმაშენებელმა“, „პატრიოტთა ალიანსმა“ და „გირჩმა“ 4-4 მანდატი მიიღეს;

„მოქალაქეებს“ პარლამენტში 2 ადგილი აქვთ;

„ლეიბორისტული პარტია“ პარლამენტში 1 მანდატითაა წარმოდგენილი.

საკანონმდებლო ორგანოში პირველად, ცესკოს მონაცემებით, 31 ქალია.

გია ვოლსკი: „ოპოზიციას არც რიგგარეშე არჩევნები აინტერესებს“

„მას მხოლოდ პოლიტიკური ჯახი უნდა“

– რიგგარეშე არჩევნები რომც დაინიშნოს, ოპოზიციას არც ის აინტერესებს – მათ ჯახი აინტერესებთ, რომელიც პოლიტიკურ ველზე შესაძლო წარმატებას მოუტანს.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, „პოლიტიკურ ველზე, რა თქმა უნდა, რთული მდგომარეობაა, მაგრამ კრიზისი ხელოვნურია“.

როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ოპოზიციამ უნდა გააანალიზოს პასუხისმგებლობა საკუთარი ამომრჩევლის, საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე.

– უნდა გავიგოთ, რომ ის, რაზეც ოპოზიცია საუბრობს, რეალობასთან არანაირ კავშირში არ არის. მათ განცხადებებს ლოგიკური საფუძველი არ გააჩნია. ჯერ კიდევ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე ვაცხადებდით, რომ მათი ნებისმიერი საქმიანობა, ნებისმიერი საქციელი, თუნდაც პარლამენტის ბოიკოტირება მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დროს, ადასტურებდა – მათ არჩევნები და საარჩევნო შედეგები არ აინტერესებთ, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

„ალტერნატივას“ ხელმძღვანელ ხათუნა ბერიძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

ბათუმში, მოძრაობა „ალტერნატივას“ ხელმძღვანელის, ხათუნა ბერიძის წინააღმდეგ გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო, რაც დაზარალებული პირის მიმართ ძალადობას ან ცემას გულისხმობს.

ბერიძე და მისი ადვოკატი ამბობენ, რომ ხელისუფლებამ პოლიტიკური დევნა დაიწყო.

საქმე ეხება 19 ნოემბერს „ქართული ოცნებისა“ და „ალტერნატივას“ აქტივისტებს შორის დაპირისპირებას, რომელიც ბათუმში გორგილაძის ქუჩაზე მოხდა.

მოძრაობის წევრები „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელის, გიორგი მანველიძის საცხოვრებელ სახლთან გაერთიანებული ოპოზიციის წევრების შეურაცხმყოფელ ბანერს აპროტესტებდნენ, რომელიც მანველიძის საცხოვრებელი კორპუსიდან გადმოფინეს.

„ალტერნატივას“ წევრებს ადგილზე კონტრაქცია დახვდათ. „ქართული ოცნების“ აქტივისტები და მოძრაობის წევრები ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

ინციდენტიდან 3 დღის შემდეგ ხათუნა ბერიძემ პოლიციის სამმართველოდან უწყება მიიღო. იგი აჭარის მთავარ სამმართველოში 3 საათზე მეტ ხანს იკითხებოდა.

მუხლი, რომლითაც მის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო, ჯარიმას ან ერთწლიან პატიმრობას ითვალისწინებს.

მთავარი

უცხოელს წაართვეს 5.528 კვ. მ მიწის ნაკვეთი და 142.000 დოლარად გაყიდეს

2 პირი დააკავეს

საგამოძიებო სამსახურმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 2 პირი დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის ნაწილი და ამავე გზით მიღებული თანხით შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ყალბი მინდობილობის საფუძველზე, მიმდინარე წლის 12 ნოემბერს, დაირეგისტრირეს თბილისში, საბურთალოს რაიონში არსებული, უცხო ქვეყნის მოქალაქის სახელზე რიცხული 5.528 მ2 მიწის ნაკვეთი, რომელიც 16 ნოემბერს გაასხვისეს 142.000 აშშ დოლარის საფასურად.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის ნაწილი და ამავე გზით მიღებული თანხით შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება. ერთ-ერთი ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია შპრიცები და თეთრი ფერის ფხვნილი, რომელიც, სავარაუდოდ, წარმოადგენს ნარკოტიკულ ნივთიერებას.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში შემჩნეული სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

სოზარ სუბარმა ხმების 164% მიიღო, ირაკლი ჩიქოვანმა — 118%

არჩევნების მეორე ტურში დარღვევები დაფიქსირდა, მათ შორის, ქარელის საარჩევნო უბანში, სადაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების რამდენიმე ბიულეტენი აღმოჩნდა.

დარღვევები იყო თერჯოლაშიც, სადაც საარჩევნო ყუთში, საპრეზიდენტო არჩევნების დროინდელი, როგორც სალომე ზურაბიშვილის, ასევე გრიგოლ ვაშაძის ბიულეტენები აღმოაჩინეს.

ბიულეტენები, რომლებიც დაუდგენელი იყო, საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო.

№27 საარჩევნო ოლქში კი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატ ირაკლი ჩიქოვანს ამომრჩეველთა ხმების 118,08 % პროცენტი ჰქონდა.

მსგავსი ხარვეზი გამოვლინდა სოზარ სუბარის შემთხვევაშიც, რომელმაც ამომრჩევლის 164%-ზე მეტი ხმა მიიღო.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერის მოვალეობის შემსრულებელი ნათია იოსელიანი აცხადებს, რომ ტექნიკური და პროგრამული შეფერხებები მალევე გამოსწორდა.

– შემაჯამებელი ოქმების შემოსვლა როდესაც დაიწყო, იყო პროგრამული შეფერხება, ჩვენმა პროგრამისტებმა შეძლეს და ალტერნატიული სახით ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადეს წინასწარი შედეგები. ჩვენ ამ საკითხს ვიძიებთ, თუ რატომ იყო შეფერხებები, – აღნიშნა ნათია იოსელიანმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ხუხაშვილი: „კობახიძის მსგავსი ცინიკოსი მე არ მინახავს“

„ხელისუფლებამ 50.000 ხმა ჩაუდო ოპოზიციას“



იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოში არჩევნების მეორე ტურიც ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მხოლოდ მმართველმა პარტიამ მიიღო, რადგანაც ოპოზიციამ ბოიკოტი გამოაცხადა. ამ არჩევნების გამო ბევრს საბჭოთა კავშირი გაახსენდა, როდესაც მასში მონაწილეობას მხოლოდ ერთი პარტია იღებდა. 21 ნოემბრის არჩევნებზეც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ, დისბალანსი ოქმებში, რაც ცესკომ ტექნიკური პრობლემებითა და ხარვეზებით ახსნა.
რა დაგვანახა 21 ნოემბრის არჩევნებმა და რა ვითარება გველოდება წინ? როგორ უნდა გავიგოთ ცესკოს განმარტება და რას ნიშნავს ირაკლი კობახიძის განცხადებები? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

— შაბათს ვნახეთ ძალიან მშვიდი არჩევნები, ფაქტობრივად, ერთპარტიული. რა გამოაჩინა ამ არჩევნებმა და რა დაანახა მსოფლიოს?

— რა არის, იცით? დეჟავუს გრძნობა მაქვს. ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა, როდესაც საბჭოთა კავშირში მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა არჩევნები და 100%-იანი შედეგი იდებოდა ხოლმე.

ქვეყანაში არის სერიოზული პოლიტიკური კრიზისი. ფაქტობრივად, ხელისუფალი სტერილურია, ანუ არავისთან არ აქვს კავშირი. ის აცხადებს პრეტენზიას აბსოლუტურ ჭეშმარიტებასა და ძალაუფლებაზე და დაკარგული აქვს კომუნიკაცია ყველა ჯგუფთან. არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სამოქალაქო ელიტასთან და საერთოდ ყველასთან. აპელირებს პირდაპირ ხალხზე და სხვადასხვა არცთუ კეთილსინდისიერი მეთოდებით. ეს არ მთავრდება კარგად. უახლეს ისტორიაში ამის გამოცდილება უკვე გვაქვს მიღებული.

სახეზეა პოლიტიკური კრიზისი და რაც ყველაზე ცუდია, ის ვითარდება სერიოზული სახელმწიფოებრივი პრობლემების ფონზე. ეს არის კოვიდის მართვა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკა, რეგიონში არსებული საკმაოდ რთული ვითარება და ეს ყველაფერი ახდენს კომულატიურ ეფექტს. ჩემი აზრით, პრაქტიკულად გარდაუვალია პიკური, კრიზისული მოვლენები, რომლებიც მაინც დასრულდება რიგგარეშე არჩევნებით. უბრალოდ, საფიქრალი მხოლოდ ის არის, რომ ეს მოხდეს სახელმწიფოსათვის მინიმალური ზიანით.

— ივანიშვილს არ ესმის ეს ყველაფერი?

— ივანიშვილს სხვა გზა არ აქვს. რა ქნას? ის ასე თვლის, რომ მას სხვა გზა არ აქვს, რადგან მისთვის ძალაუფლება გახდა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ის სხვა საკითხია, რომ თავი ამ მდგომარეობაში თავად ჩაიგდო.

— თუმცა, ჯერ კიდევ ხომ აქვს შანსი, რომ ყველაფერი უმტკივნეულოდ დათმოს?

— ის ასე არ თვლის. მე და თქვენ ასე ვთვლით, მაგრამ ის ასე არ თვლის. ის უკვე მძევალია იმ ვითარების, რაც თვითონვე შექმნა.

— ცალკე განხილვის საგანია ცესკოს მოქმედებები. ერთპარტიული არჩევნების დროსაც კი დისბალანსია ოქმებში და ზოგიერთ კანდიდატს 100%-ზე მეტიც კი ჰქონდა. რასთან გვაქვს საქმე?

— მე ვფიქრობ, რომ ძალიან მარტივად არის საქმე. ამ არჩევნების მეორე ტურზე ამოცანა იმდენად ის არ იყო, რომ ხმები მიეღო „ქართულ ოცნებას“, რამდენადაც შეექმნათ შედარებით მაღალი აქტივობის იმიტაცია.

— ანუ, ამ ნაწილშიც გაყალბება დასჭირდათ?

— დიახ. ამ შემთხვევაში იმიტაცია, ანუ გაყალბება არა ხმების მოპოვების თვალსაზრისით, არამედ აქტივობის იმიტაციის თვალსაზრისით. კომისიებში ყველამ კარგად არ იცის არითმეტიკა და რომ გაზარდეს ხმების რაოდენობა, დაავიწყდათ მისული ამომრჩევლის გაზრდა. სინამდვილეში კი იქაც უნდა მოემატებინათ და აქაც. აქ რომ ხმის მიცემა მოუმატეს, დასწრების მომატება დაავიწყდათ და გამოუვიდათ 164%.

— პროგრამულ ხარვეზს და გარე ჩარევებს რომ დააბრალეს, ეს რას ნიშნავს?

— ძალიან სასაცილოა ეს. პროგრამას თავი რომ დავანებოთ, არაპროგრამული ნაწილი, პდფ ფაილები რაც ატვირთეს, იქაც იგივე სიტუაციაა. აქედან გამომდინარე პროგრამაზე დაბრალება ძალიან სასაცილოა. თავისივე დოკუმენტაციით აუქმებენ ამ ე. წ. ვერსიას. მე ამას დავარქმევდი ლუარსაბ თათქარიძის სინდრომს.

— ლუარსაბ თათქარიძის სინდრომს რატომ?

— ბუზებს რომ თვლიან და გაფრენილან, თორემ 40 იყოო. ასე იციან არითმეტიკა, როგორც ლუარსაბმა იცოდა.

— ირაკლი კობახიძემ თქვა, 50.000 ადამიანმა მისცა ოპოზიციას ხმა, მაგრამ ჩვენი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, შანსი არ ჰქონდათო...

— ეს იმდენად სასაცილოა... მაშინ, როდესაც ყველა ოპოზიციური პარტია მოუწოდებდა თავის ამომრჩეველს, არ მიხვიდეთ არჩევნებზეო, ცოტა წარმოუდგენელია, რატომ მივიდა ეს ამომრჩეველი წინასწარ წაგებულ თამაშში მონაწილეობის მისაღებად?!

„ცესკოს ლუარსაბ თათქარიძის სინდრომი აქვს, 40 ბუზი იყო და გაფრენილანო“

მე გამიგია ნარკოტიკების ჩადება, იარაღის ჩადება გამიგია, მაგრამ მე ეს ქართული ნოუჰაუა, ხმის ჩადებაც ისწავლა ხელისუფლებამ. 50.000 ხმა ჩაუდეს ოპოზიციას.

— საუბრობენ ფარულ აგიტაციაზე, რაც ასევე ღიმილს იწვევს. ფარული კამპანიის წარმოება შესაძლებელია?

— ძალიან სასაცილო თემაა. ანუ პარტია ხმამაღლა აცხადებს და თავის ამომრჩეველს მოუწოდებს, რომ არჩევნებზე არ მივიდეს, რადგან თავად ბოიკოტის რეჟიმშია და არ მონაწილეობს მეორე ტურებში. ამ დროს თურმე მიდიან ჩუმად მათთან და ყურში ეუბნებიან, რომ კი მოგიწოდებთ, რომ არ წახვიდეთ, მაგრამ მაინც წადით არჩევნებზეო.

ეს წარმოუდგენელი იდიოტიზმია, მაგრამ ეს არის ცინიზმი. კობახიძე ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული შემთხვევაა. ისტორიაში ასეთი პერსონაჟი არც მახსოვს. ბევრი გამაღიზიანებელი მინახავს, მაგრამ ასეთი აბსოლუტური ცინიზმი, არა. ასე გეზიზღებოდეს საკუთარი ხალხი და ასე ბრიყვებად თვლიდე, რომ რაც არ უნდა თქვა, ყველაფერს „შევაჭმევ“, ეს არის ცინიზმის განსაკუთრებული პროდუქტი.

— ამ არჩევნებზე მედიის აქტიურობაც მინიმალური იყო. ეს გამართლებულია თუ ეს ვითარება შექმნა „ოცნებამ“?

— იცით, რა არის? რატომ უნდა იყოს მედიისთვის საინტერესო ერთპარტიული არჩევნები? მედია როგორ მუშაობს? როდესაც არსებობს რაიმე ინტრიგა, ის ნიუსია საინტერესო და იმას აშუქებს. პროცესი, რომელშიც ყველაფერი ცხადია, რატომ უნდა გააშუქოს? მე პირადად იმათიც არ მესმის, ვინც აშუქებდა. რატომ აშუქებდნენ?!

— ეს სურათი მთლიანად „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა და მთლიანად მასზეა ეს პასუხისმგებლობა?

— არა, მთლიანად „ქართულ ოცნებაზე“ არ არის პასუხისმგებლობა. ვერც ოპოზიცია გამოიყურება მაინცდამაინც წელში გამოყვანილად. სამწუხაროდ, რეალურ დღის წესრიგს ოპოზიციაც ვერ ქმნის. ისინიც ძალიან სუსტად გამოიყურებიან.

პოლიტიკური ელიტის სერიოზული კრიზისი გვაქვს და თუ ამ ყველაფრისთვის ახალი სისხლის გადასხმა არ მოხდა ქართულ პოლიტიკაში, მაშინ კარგი მდგომარეობა არ გვექნება.

— არჩევნები დასრულდა, მაგრამ ახლა ის ვითარება ხომ არ გვაქვს, რომ ომი დამთავრდა და მშვიდობის უნდა გვეშინოდეს?

— კი, პრინციპში დაახლოებით ეგ სიტუაციაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მხოლოდ პოლიტიკური კრიზისი რომ იყოს, ამას რაღაცნაირად გადავიტანდით, მაგრამ ხელისუფლებას სუსტი ლეგიტიმაციის პირობებში აქვს სერიოზული პრობლემები. სოციალური პრობლემები, მაღალი რეგიონული რისკები და ამ პრობლემების გადაწყვეტის არანაირი დღის წესრიგი არ აქვს. ამ ყველაფერს აგვირგვინებს და ფუთავს პოლიტიკური კრიზისი, რაც რისკებს აათმაგებს.

— მათ შორის საერთაშორისო ინსტიტუციებშიც?

— ყველგან. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ტექტონიკური რყევები გვექნება.

„თუ ხელისუფლება კომპრომისზე წავა, რიგგარეშე არჩევნები შემოდგომაზე ჩატარდება“

ვახტანგ ძაბირაძე: „ახალი პარლამენტი შეიკრიბება და ვნახავთ, „ქართულ ოცნებას“ რეალურად რა შეუძლია“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო ვახტანგ, თქვენ რა მოლოდინები გაქვთ ოპოზიციისა და ხელისუფლების შეხვედრის მესამე რაუნდთან დაკავშირებით? კარ ჰარცელმა განაცხადა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ოპოზიცია პარლამენტში შევიდეს. შეიძლება გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნების სანაცვლოდ მართლაც შევიდეს?

— არ მგონია, რომ შეხვედრის მესამე რაუნდზე ყველაფერი გადაწყდეს და ამით ამოიწუროს პროცესი. მე ასეთი მოლოდინი არ მაქვს. თუმცა, მესამე რაუნდზე ალბათ სწორედ ეს ვარიანტი იქნება განხილული.

— რა ვარიანტი?

— ოპოზიცია მიდის კომპრომისზე და ოპოზიციის მხრიდან პარლამენტში შესვლა ნამდვილად იქნება რეალური კომპრომისი, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან რა იქნება კომპრომისი? თუ ხელისუფლება წავა კომპრომისზე, ეს რიგგარეშე არჩევნები უნდა იყოს, მაგრამ არა გაზაფხულზე, არამედ ერთი წლის შემდეგ, შემოდგომაზე.

თუმცა, ხელისუფლება ალბათ უფრო განიხილავს არა რიგგარეშე არჩევნებს, არამედ მეორე საკითხს, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის საკითხს ეხება.

— კონსტიტუცია არეგულირებს თუ რა შემთხვევაში ინიშნება რიგგარეშე არჩევნები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე შეიძლება დაინიშნოს?

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ შეთანხმებაზეა საუბარი და არაფერ სხვაზე. ოპოზიცია და ხელისუფლება მიდიან კომპრომისზე, აღწევენ შეთანხმებას და გარანტორები ხდებიან ელჩები. დანარჩენი ტექნიკის საკითხია. ხელოვნურად შეიძლება კრიზისის შექმნა. ხელისუფლება მოითხოვს ნდობას და პარლამენტი ამ ნდობას არ გამოუცხადებს, ასეთ დროს, ცხადია, კონსტიტუციის შესაბამისად იშლება პარლამენტი და ინიშნება ვადამდელი არჩევნები. ეს იქნება სრულიად ღია თამაში და ამის შესახებ ყველას ეცოდინება.

— თუ შეთანხმება ვერ შედგა?

— წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიცია ქუჩაში რჩება, როგორც ეს იყო 2007 წლიდან 2012 წლამდე მოყოლებული, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება ხელისუფლების საპასუხო რეაქცია. როგორი იქნება მისის რეაქცია, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ასევე მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ხელისუფლების მოქმედების გეგმა.

— პარლამენტში მარტო დარჩენის შემთხვევაში საკანონმდებლო საქმიანობას ჩვეულებრივად გააგრძელებს, ვინაიდან ჰყავს უმრავლესობა და არ გაუჭირდება?

— დიახ, მაგრამ საკონსტიტუციო შესწორებებს ვერ მიიღებს, რადგან ორი მესამედია საჭირო. „ქართულ ოცნებას“ 76 მანდატი აქვს და, შესაბამისად, კანონებს მიიღებს. ყველანაირ საკანონმდებლო ცვლილებას მიიღებს გარდა საკონსტიტუციო ცვლილებებისა. მე-9 მოწვევის პარლამენტს როდესაც უფლებამოსილება ამოეწურება და ახლის უფლებამოსილება იქნება ცნობილი, ვნახავთ, „ქართულ ოცნებას“ რეალურად რა შეეძლება.

— კობახიძემ, უფლებამოსილებას მე-10 მოწვევის ოპოზიციონერ დეპუტატებს არ შევუჩერებთო. ამაზე რას იტყვით?

— სიმართლე გითხრათ, ირაკლი კობახიძის ეს განცხადება ძალიან უცნაური იყო. დეპუტატი უფლებამოსილების შეჩერების შესახებ აცნობებს პარლამენტს და პარლამენტმა დეპუტატის ეს გადაწყვეტილება ცნობად უნდა მიიღოს. რა, არ მიიღებს, თუ რას იზამს? რბილად რომ ვთქვა, ისეთ სამართლებრივ კაზუისტიკაში შევდივართ, რომ დასაცინი შეიძლება გავხდეთ. ირაკლი კობახიძის მხრიდან ალბათ ეს უფრო სიტყვის მასალად გამოყენებული ნათქვამი იყო, ვიდრე სამართლის მცოდნისა თუ კონსტიტუციონალისტის მიერ გაკეთებული განცხადება.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რა მნიშვნელობა აქვს სამართლებრივად როგორ იქნება, როდესაც პოლიტიკური პროცესი იქნება სახეზე და მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას ეცოდინება, ოპოზიცია პარლამენტში არ არის წარმოდგენილი და იქ მხოლოდ ხელისუფლება მუშაობს. თუ ოპოზიცია ოფიციალურად დაწერს განცხადებას პარლამენტის დატოვების შესახებ და ხელისუფლება, ყველაფრის მიუხედავად, მაინც წავა ამ გზით, მაშინ ის სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდებს თავს. რა, დამალავენ ამას?! რა, საერთაშორისო პარტნიორები ამის შესახებ ვერ გაიგებენ თუ რა?! ამიტომ, ძალიან სასაცილო იქნება ეს ყველაფერი და ქილიკს დაიწყებენ. არა მგონია, ეს სერიოზული განცხადება იყოს ან სერიოზულად განიხილებოდეს ხელისუფლების დონეზე.

„ივანიშვილი 1 მილიონს აძლევს ყველა ოპოზიციონერ დეპუტატს, ვინც პარლამენტში შევა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ასეთი მაღალი დონის ვიზიტებია, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთობლივი ბრიფინგი არ ჩაეტარებინოთ ჟურნალისტებისთვის სტუმარს და მის დამხვდურს. თქვენ სადმე ნახეთ, რომ ბატონმა გახარიამ და პომპეომ ერთობლივი ბრიფინგი ჩაატარეს და ჟურნალისტების კითხვებს მაინც უპასუხეს?!

— აქედან რა დასკვნა გამოიტანეთ?

— ამ მოცემულობამ ერთადერთი რამ გვითხრა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს ამ ე.წ. არჩევნებს. ისინიც ელოდებიან იმას, რომ ქვეყანაში უნდა ჩატარდეს რეალური არჩევნები ნორმალურ პირობებში, ყოველგვარი კრიმინალების გარეშე.

პომპეომ ვიზიტისას თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, უფრო მეტად გააღრმაოს, გააძლიეროს თანამშრომლობა საქართველოსთან, დაეხმაროს ეკონომიკის განვითარებაში, ასევე დაეხმაროს, რომ საქართველოში შემოვიდეს რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია, მაგრამ ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში, მინიმუმ, სასამართლო სისტემა იქნება ნორმალური, დამოუკიდებელი და თავისუფალი და არა ისეთი, რომელიც არ მოსწონს არავის.

თუმცა ამის მაგივრად რა მოხდა?! ბატონი პომპეო გაფრინდა და იმავე საღამოს 9 საათზე 36 უვადო მოსამართლე აირჩიეს. ისე, რომ კონსულტაციაც კი არ გაუვლიათ არავისთან. ყველა და ყველაფერი ფეხებზე დაიკიდეს! ქართველი ხალხი ამას არ შეარჩენს „ოცნებას“!

— რით დასრულდება ეს ყველაფერი? ოპოზიცია პარლამენტში არ შედის, „ოცნება“ ხელახალ არჩევნებს არ ნიშნავს. რისი მოლოდინი გაქვთ?

— აქციები გაგრძელდება აუცილებლად. ისინი მარტო ისხდებიან საქართველოს პარლამენტში. ისინი ელემენტარულად ორგანული კანონის შეცვლასაც ვერ შეძლებენ, რადგან ფიზიკურად არ იქნებიან ამდენი. ამიტომ 6 თვე იქნება ყველაზე მაქსიმალური და ქვეყანა ბოლომდე ჩამოემხობათ თავზე.

ჩვენ კი არ ვხუმრობთ, ამას რომ ვამბობთ, ქართველი ხალხი რომ იხუვლებს, ივანიშვილი და მისი ხელისუფლება ისევ ჩვენი დასაცავი გახდება. სანამ დროა, გონს მოეგონ და შემდეგ შეხვედრაზე დაასახელონ გეგმა და თარიღი, როდის დანიშნავენ ახალ არჩევნებს.

გიგა ბუკია: „ოპოზიციამ შეცდომები დაუშვა“

„ისევ გაიკრიფა შუა და ხალხი დარჩა „ან ბიძინა, ან მიშა-ს“ მკაფიო არჩევანის წინაშე“

მარიამ მჭედლიშვილი

ჩაიარა საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურმა, რომელსაც ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა. მმართველი პარტია და გაერთიანებული ოპოზიცია ისევ ვერ თანხმდებიან. ოპოზიცია 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევს. შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, მეცხრე, ჯერ კიდევ მოქმედი მოწვევის პარლამენტის წევრს, გიგა ბუკიას.

– რას იტყვით პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის შემდეგ შექმნილ სიტუაციაზე?

– ოპოზიციამ გაუშვა ხელიდან შანსი, ემოქმედა უფრო კონსტრუქციულად და მიეღწია მიზნისათვის. ფაქტობრივად, ოპოზიციამ დაკარგა კოალიციური ხელისუფლების შანსი.

– მეორე ტურის ბოიკოტი არასწორი იყო?

– ოპოზიციამ შეცდომები დაუშვა როგორც მანამდე, ისე მეორე ტურში. არსებულ მძიმე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და პანდემიურ ვითარებაში ოპოზიციას სხვანაირად უნდა ებრძოლა. მას ბოლომდე და სრულად უნდა გამოეყენებინა დოკუმენტაცია, რომელიც ამტკიცებს ფალსიფიკაციას. მეორე ტურშიც უნდა მიეღო მონაწილეობა და მოეხდინა ამომრჩევლისა და რესურსების მობილიზაცია.

– თქვენი აზრით, რამდენი მაჟორიტარული ოლქის „წაღება“ შეეძლო ოპოზიციას?

– მეორე ტური გაიმართა 17 ოლქში. ამის ნახევარი, ან მაგალითად, 5 დეპუტატიც რომ გაეყვანათ, ხმებს მოაკლებდნენ უმრავლესობას.

– და თვითონაც შევიდოდნენ პარლამენტში? ამას მათ ადრევე ურჩევდით.

– დიახ. არჩევნებმა და მისმა შედეგმა კითხვის ნიშნები გააჩინა. მათზე პასუხების გასაცემად მიზანშეწონილი იქნებოდა, ბარიერგადალახული პარტიები და დეპუტატები შესულიყვნენ პარლამენტში, შეექმნათ საგამოძიებო კომისია. თქვენს გაზეთთან წინა ინტერვიუშიც ვთქვი, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნა პარლამენტში ახალი რეგლამენტით გაადვილებულია. კომისიის თავმჯდომარე იქნებოდა ოპოზიციონერი. თუ კომისია დაამტკიცებდა, რომ არჩევნების დროს მოხდა სისხლის სამართლის დანაშაულები, მაშინ დღის წესრიგში დადგებოდა ახალი არჩევნების საკითხი. ამაზე წინასწარ უნდა მორიგებულიყვნენ ხელისუფლება და ოპოზიცია.

– ეს მორიგება არ მომხდარა. ოპოზიცია რთულ მდგომარეობაშია?

– რასაკვირველია. ერთი მხრივ, ამ ოპოზიციას არ უნდა უკან დახევა, ერთხელ ნათქვამის გადათქმა, მეორე მხრივ, სურს შესვლა ახალი მოწვევის პარლამენტში. ოპოზიცია ხმების გადათვლასაც არ დათანხმდა, გამოიჩინა სიხისტე. ამით ავნო საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც, ჩრდილი მიაყენა თავისი პრეტენზიების მასშტაბურობას. ნუ დაგვავიწყდება, რომ 31 ოქტომბრის არჩევნები უცხოელმა დამკვირვებლებმა, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა აღიარეს. მათ შეცდომები და დარღვევები ცნეს, მაგრამ შედეგი საეჭვო არ გაუხდიათ. ასე რომ, რადიკალიზმმა ოპოზიცია დააზიანა. უნდოდათ თუ არა, ამ გაერთიანების ყველა პოლიტიკოსი აღმოჩნდა სააკაშვილთან. ეს ხალხი აყოლილია სააკაშვილის ფეხის ხმას.

– ბარიერგადალახული ოპოზიციისთვის რამდენიმე მაჟორიტარის დამატება მნიშვნელოვანი იქნებოდა? თქვენ კოალიციური მმართველობაც ახსენეთ. ამაზე კარგა ხანია აღარავინ ლაპარაკობს.

– კოალიციურ ხელისუფლებაში ვგულისხმობ მომავალს. პერსპექტივაში, თითო მანდატიც მნიშვნელოვანია. თორემ, ახლა პირველ ადგილზე „ქართული ოცნებაა“ და ყველგან, საპარლამენტო რესპუბლიკებში პირველ ადგილზე გასული ასრულებს მთავარ როლს კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებაში. ოპოზიციამ რადიკალური პოზა დაიკავა. თან, მის წარმომადგენლებს ეტყობათ, რომ უნდათ პოსტები მთავრობაში. ეს პოლიტიკოსები საუბრობენ „ერთიან პასუხისმგებლობაზე“.

– ამ ოპოზიციამ გზები გადაიჭრა? მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდიც იგეგმება.

– ბარიერგადალახული პარტიები თავიანთი სიხისტით ჩიხში შევიდნენ. კარგი გამოსავალი იქნებოდა, მომხდარიყო შეთანხმება პარლამენტში კომისიის შექმნაზე ოპოზიციის მონაწილეობით. თუ კომისია გამოიძიებდა, რომ არჩევნების დროს მოხდა დანაშაული, მოხდებოდა შედეგის გადახედვა. ახლა ოპოზიცია რთულ მდგომარეობაშია – არც უკან იხევს, ვერც დიდი რაოდენობით ხალხი გამოჰყავს. საერთაშორისო ორგანიზაციების აზრით, ეს არჩევნები ლეგიტიმურია. ხელისუფლების ხელშია ყველა კოზირი.

– თუმცა, ხელისუფლება დგას პოლიტიკური, ეკონომიკური, პანდემიური კრიზისის წინაშე.

– ამის გამო ადრეც ვთქვი, რომ „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება და კაცმა არ იცის, რა მოხდება 2024 წლამდე. ხელისუფლებას ახალ ვერავინ დაუშლის შეკრიბოს ახალი პარლამენტი და დაიწყოს მუშაობა. ჯერჯერობით, კოზირები ხელისუფლების ხელშია. თუ ოპოზიცია ჩასაფრებული დაელოდება სიტუაციის გაუარესებას ქვეყანაში, ისევ დავდგებით რევოლუციური სცენარის წინაშე, რაც დამღუპველია ქვეყნისათვის.

– ახლაც ვიდექით რევოლუციის წინაშე?

– ოპოზიცია აღმოჩნდა სააკაშვილის ნების შემსრულებელი. სააკაშვილს თავისი მიზნები აქვს. მან მშვენივრად იცის, რომ არჩევნებით ძალაუფლებას ვერ დაიბრუნებს. სააკაშვილი ხშირად ცდილობს გამოიყენოს სხვადასხვა გარემოება, შექმნას რევოლუციური სიტუაცია. ამისთვის იყენებს არჩევნებსაც. რა მოხდა ახლა? ისევ გაიკრიფა შუა და ხალხი დარჩა „ან ბიძინა, ან მიშა“-ს მკაფიო არჩევანის წინაშე. სააკაშვილის დროს მომხდარი უამრავი საშინელება ბევრს საკუთარ თავზე აქვს გადატანილი და მწარედ ახსოვს. ამ სიტუაციაში ადამიანები არჩევენ, ხმა მისცენ ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“. ჩვენ კი ისევ იმავე წრეზე ვტრიალებთ – ქართული ოპოზიცია ყოველთვის გამოირჩევა რადიკალიზმით. ეს შეცდომა ჩვენც მოგვსვლია. ამაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც მიგვითითა, როცა აღნიშნა, რომ საქართველოში ნანახი ფილმი მეორდება. უარესი ისაა, რომ ოპოზიცია სააკაშვილის დაკრულზე ცეკვავს.

„ოპოზიციის ერთიანობა ხელისუფლებას უხერხულობას უქმნის“

დავით ლორთქიფანიძე: „მოსახლეობას სააკაშვილზე საუბარი ყელში ამოუვიდა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, არჩევნების მეორე ტურიც დასრულდა. ოღონდ ოპოზიცია აცხადებს, გაყალბებულიაო. ჩატარებულ არჩევნებს დღეს მთლიანობაში როგორ აფასებთ?

– ფაქტია, რომ არჩევნები შედგა. ამომრჩეველმა გამოიჩინა თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა და თავისი არჩევანი დააფიქსირა. მინდა ჩვენს ამომრჩეველს მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის. რაც შეეხება იმ აჟიოტაჟს, რომელიც ოპოზიციამ შექმნა, კარგი პროცესი არ არის, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე დადებითად არ მოქმედებს, მაგრამ ეს არის მათი არჩევანი. ამ არჩევანისაგან რა ნაყოფს მოიმკიან, დროის ამბავია, გამოჩნდება.

– რატომ ვერ ავცდით იმგვარ შეფასებას, როგორადაც არჩევნებს ოპოზიცია აფასებს?

– ვფიქრობ, არსებულ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს გადაჭარბებული ამბიცია ჰქონდათ თავის შესაძლებლობებთან დაკავშირებით და ის შედეგი რომ ვერ მიიღეს, შესაბამისი რეაქცია ჰქონდათ. მათ ამ ყველაფრისთვის დიდი ფინანსური რესურსი დახარჯეს. მათი წინასაარჩევნო პერიოდი მრავალფეროვანი იყო. ამიტომ მათ სასურველი შედეგის მიღების სურვილი, რეალობად უნდათ წარმოაჩინონ.

ფაქტია, მათ მოახერხეს ერთ პოზიციაზე დგომა და ამ ერთიანობას ინარჩუნებენ. ეს საკმაოდ დამაფიქრებელი რეალობაა.

– ოპოზიციას რა უქმნიდა გადაჭარბებულ მოლოდინებს, ის ხომ არა, რომ „ოცნება“ მესამე ვადით იყრიდა კენჭს? ფაქტობრივად, მესამე ვადით დარჩა.

– მათ თვითონ შეუქმნეს თავის თავს შინაგანი განწყობა. ქვეყანა დალხინებული რომ არ არის და ევროპული განვითარებული ქვეყნის დონეზე არ ვართ, ამას მტკიცება არ სჭირდება. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, ეს ადამიანები ამოდიოდნენ იქიდან, რომ საზოგადოება მათ მხარეს დაიჭერდა. ფიქრობდნენ, რომ ქართულ პოლიტიკაში არსებული ასეთი მოცემულობა და ქართველი ხალხი ერთი ძალის მესამე ვადით დატოვებას არ დაუშვებდა.

– რა უშლიდა ხელს ოპოზიციას, ხელისუფლებაში მოსულიყო?

– ნაცმოძრაობა და მასთან ასოცირებული ოპოზიციური ძალები (რომლებიც დღეს ერთად არიან, ერთეულების გამოკლებით), ხელისშემშლელია მათი ბეგრაუნდი. ნაცებს ხელს უშლის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ნაკეთები ცუდი საქმეები (რაც მათ ავნეს ჩვენს სამშობლოს, ქვეყანას), განუკითხაობა, ანტიდემოკრატია, ადამიანის უფლებების სრული იგნორირება, მკვლელობები, პატიმრების წამება, ციხის ბუნტი, პატიმრების დახოცვა.

ყოველწლიურად ციხეში 600 პატიმარი იღუპებოდა. 150-მდე ახალგაზრდა ქუჩაში მოკლეს. ის ხალხი, ვინც ეს უბედურება გაიარა, არსად გამქრალა. 300 ათასი ადამიანი, რომელიც სისხლის სამართლის დევნის ქვეშ იყო და ნაცმოძრაობამ საპროცესო გარიგებები გაუფორმა, ისევ ამ ქვეყანაში ცხოვრობს. ისინი ქუჩაში რომ არ გამოდიან, ჰგონიათ, რომ მათი ტკივილი გამქრალია და ყველაფერი ეპატიათ. ქუჩაში გამოსვლას ყველას ვერ მოსთხოვ, მაგრამ როდესაც საარჩევნო უბანზე მიდის, გადაწყვეტილებას ნაცრეჟიმის სასარგებლოდ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს, მათ მხარს არ დაუჭერს.

– მაშინ რამ შეუქმნათ ილუზია, რომ შეიძლებოდა ხელისუფლებაში დაბრუნებულიყვნენ. „ოცნების“ შეცდომებმა ხომ არა?

– მათ ილუზია გაუჩინა იმან, რომ დღესაც, ქართული რეალური დემოკრატიის პირობებში, თავს ლაღად გრძნობენ, რაც უნდათ, იმას ამბობენ, რაც უნდათ, იმას წერენ; ვინც უნდათ, იმას ლანძღავენ. ამან მათში წარმოშვა განცდა, რომ „უძლეველები“ არიან და მათი ეშინიათ.

მოსახლეობას სააკაშვილზე საუბარი ყელში ამოუვიდა, მაგრამ ერთ მაგალითს მოგიყვანთ – 21 ნოემბერს ტვ-პირველზე არჩევნებთან დაკავშირებით გადაცემა იყო. საუბარი ეხებოდა ვანის ოლქს, სადაც ჩვენმა კანდიდატმა გაიმარჯვა. გადაცემაში ვანის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე საუბრობდა (გვარს და სახელს არ დავასახელებ, რადგან მისი რეკლამა გამოვა) და ისეთი ტერმინოლოგიით მოიხსენია ხელისუფლება, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილი, რომ ძალიან გავბრაზდი.

– რატომ გაბრაზდით?

– იმიტომ, რომ მას ამის უფლება არ აქვს, რადგან, როცა ვანის ხელმძღვანელი იყო, რაიონს ბევრი ავნო. როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, რაღაც პერიოდი პატიმრობაშიც კი იყო თავისი ნამოქმედარის გამო. მე თავიდან ბოლომდე საქმის კურსში ვარ.

– რატომ იყო დაპატიმრებული?

– დაპატიმრებული იყო დოკუმენტების გაყალბების გამო, რომელმაც ხელი შეუწყო ნაციონალების დეპუტატის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტას – დოკუმენტები გააყალბა, ძველი რიცხვით გააფორმა. მე, როგორც პარლამენტის წევრმა, ამაზე რეაგირება მოვახდინე. ამას სამართლებრივი შეფასება მოჰყვა. დღეს ეს ადამიანი თავისუფალია, თავს კარგად გრძნობს, ბიზნესშიც არის, ასეთ ადამიანებს მათი ამომრჩეველი რომ ხედავს (შეიძლება ჩვენი ამომრჩეველიც), უჩნდება ილუზია, რომ ისინი უძლეველები არიან.

არ არის აუცილებელი ყველა საპატიმრო ადგილში იყოს, მაგრამ ის ადამიანები, რომლებმაც ქვეყანას ბევრი ავნეს, პასუხი უნდა მოეთხოვოთ კანონის შესაბამისად, მაგრამ არა ისე, როგორც თვითონ აკეთებდნენ – ადამიანებს იჭერდნენ ყოველგვარი კანონის გარეშე და მილიონებს აზიდვინებდნენ, მაგრამ კაცმა არ იცის, ის ფული სად მიდიოდა.

ნაცმოძრაობის ხელისუფლებას სამი ფონდი ჰქონდა გახსნილი, სადაც ამ ფულების აკუმულირება ხდებოდა. არქმევდნენ, თითქოს ის იყო ბიუჯეტისთვის გადახდილი ფული და იმ თანხებით თვითონ გამდიდრდნენ. დღეს ბედნიერად რომ გრძნობენ თავს, იმ ფულით არიან.

– ეგ ფული რატომ არ დააბრუნებინეთ?

– შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს აზრი, ლორთქიფანიძე ამას ახლა რომ ამბობს, რაღა დროისააო, მაგრამ ამის შესახებ ყოველთვის ვამბობდი პარლამენტის ტრიბუნიდან, მასმედიის საშუალებებით და დღესაც იგივეს ვამბობ – ადამიანებმა, რომლებმაც ე.წ. ფონდები შექმნეს და ამ ფონდებში ჩვენს მოქალაქეებს მილიონებს არიცხვინებდნენ (საუბარია რამდენიმე მილიარდზე), სახელმწიფომ კეთილი უნდა ინებოს და ამ ფონდებში თანხების მოძრაობა უნდა გამოიძიოს. სასამართლო გამოძიება უნდა ჩატარდეს, ვის აახიეს მილიარდები და შემდეგ ეს ფული სად წავიდა.

თუ ამ ფულით რამე ააშენეს და გააკეთეს, უკანონო იქნება, მაგრამ კიდევ „არაუშავს“, მაგრამ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს (როგორც პარლამენტის წევრმა მივიღე ინფორმაცია), აღნიშნული ფონდები გამოყენებული იქნა ნაცხელისუფლების გამოჩენილი პირებისა და აქტივისტების გასამდიდრებლად. საგამოძიებო ორგანომ გამოიძიოს, სად წავიდა იმ ფონდებში აკუმულირებული ფული, რომელიც შექმნილი იყო შს სამინისტროში.

– გენერალურ პროკურატურაში.

– გენერალურ პროკურატურასა და თავდაცვის სამინისტროში. გაირკვეს, ვის რამდენი ფული ერგო ნაცმოძრაობის ლიდერებიდან.

– პროკურატურაში შეიტანეთ განცხადება და მოითხოვეთ გამოძიება, სად წავიდა ამ ფონდებში შეტანილი ფული.

– მე პოლიტიკოსი ვარ, ამ განცხადებას საჯაროდ ვაკეთებ, რომელიც თქვენს გაზეთში დაიბეჭდება, რა განცხადება უნდა შევიტანო, საჯარო განცხადების შესაბამისად, დაიწყონ გამოძიება. მე ეს პარლამენტის ტრიბუნიდანაც მაქვს ნათქვამი და დღესაც ვიმეორებ.

თუ ეს დადგინდება, დამერწმუნეთ, ვანის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის მსგავსი ადამიანები ვერ გამოვლენ და სირცხვილის ქოქოლას ვერ დააყრიან თავზე ვერც ხელისუფლებასა და ვერც ბიძინა ივანიშვილს. უკადრებელს კადრულობენ, ჩვენ კი ამას ვითმენთ და ვუყურებთ. არა მგონია, ეს დემოკრატია იყოს.

– გაყალბების შესახებ მათი განცხადებები მოგონილია?

– გაყალბების შესახებ განცხადებები აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში გადამეტებულია. შეიძლება რაღაც დარღვევები იყო. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ტარდება არჩევნები დარღვევების გარეშე. ნახეთ, აშშ-ში რა ხდება, პრეზიდენტი ტრამპი არჩევნების შედეგებს არ აღიარებს. ამიტომ საქართველოშიც არ არის ეს გამორიცხული.

მე ვარ ცოცხალი მაგალითი იმისა, 2008 წლის არჩევნები გააყალბეს და შედეგების სტრასბურში გასაჩივრების საშუალება რომ მოესპოთ, სამი წლის განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილება არ მომცეს. როცა ნაცები ლაპარაკობენ არჩევნებზე, ეს უნდა გაიხსენონ. მაშინ, როდესაც შედეგების შეჯამება მთავრდება ოპერატიულად, ყველა ინსტანციაში სამი დღის ვადაში, რომ არჩევნების შედეგების შეჯამებას პრობლემა არ შეექმნას, სამი წელი მალოდინეს, გადაწყვეტილება არ მომცეს.

– როგორც „ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, თანახმა იყვნენ უბნების ბიულეტენები გადათვლილიყო და ვიდეოჩანაწერები გახსნილიყო, მაგრამ ოპოზიციამ უარი თქვა. საინტერესოა, რატომ?

– ვფიქრობ, ნაცმოძრაობასა და მის თანამზრახველებს ერთი სერიოზული „კოზირი“ აქვთ ხელში, რომლის გამოყენებასაც ისინი თავის სასარგებლოდ ფიქრობენ. ეს კოზირი ისაა, რომ მათ ერთად დგომა მოახერხეს, ანუ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ყველა ერთადაა.

– რას მიაღწევენ?

– თვითონ ასეთი მოცემულობა, რომ პარლამენტში მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა შევა, დემოკრატიისთვის წინგადადგმული ნაბიჯი არ იქნება. ამაზე სპეკულირებენ. სანამდეც ახერხებენ, აღნიშნული „კოზირი“ უჭირავთ, რომ პარლამენტში სხვა ძალა არ შევიდეს. თუ ამ „კოზირის“ შენარჩუნება მოახერხეს, კარგი არ იქნება, არაორდინარული სიტუაცია გვექნება. ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც პარლამენტში არ შემოდის, ნაცმოძრაობასთან არ ვაიგივებ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ისინი ყველანი ერთად აპროტესტებენ პარლამენტში შემოსვლას, რაც ხელისუფლებას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

– ხელისუფლებისაგან რაღაც შეთავაზებას ელოდებიან.

– ისინი არც მალავენ, რომ რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვენ, რაც ასე მარტივად ვერ იქნება.